პეტროგრაფია. გურიანთაში და ოზურგეთის მიდამოებში, შევავროვე პეტროგრაფიული მასალა, რომელიც სრულიად დამუშავებულია. გიორგი სმირონოვმა მოახდინა მათი მიკროსკოპიული განსაზღვრა, რისთვის ვუცხადებ უღრმეს მადლობას. გურიანთაში მეტად საინტერესოა ვულკანის ლავეების გავრცელება; დასავლეთ ნაწილში არ გვხვდება ვულკანის ქვები, ხოლო აღმოსავლეთ გურიანთაში, როგორც მაგალითად სოფ. კონქკათში, ბაილეთში, გოგორეთში ლავეები დამახასიათებელი მოვლენაა. ვულკანის ლავეები გავრცელებულია აგრეთვე გურია-აქარის მთების ჩრდილოეთ კალთებზედ, ქ. ოზურგეთის მახლობლად. ამ კუთხეებში, გარდა ვულკანის ლავეებისა, გეოლოგის ყურადღებას იქცევს მოზრდილი კუნძული სიენიტისა. სიენიტი გავრცელებულია გურია-აქარის მთების ჩრდილო კალთების ქვედა ნაწილში, განსაკუთრებით სოფ. გომისა და ვაკიჯვარის მიდამოებში. სიენიტის მიჯნა, აღმოსავლეთით ჯერ კიდევ გაურკვეველია, ხოლო დანარჩენი სამი მხრით მას ვულკანის ლავეები აკრავს.

ანდეზიტები. მდინარე ჩოლოქის პირად, ნაბაკევში, გავრცელებულია ანდეზიტის ლავა, რომლის შემადგენლობა ასეთია: ძირითად მასაში, რომელიც შეიცავს მიკროლიტურ ოლიგოკლასს, შერეულია მოზრდილი ლაბრადორის ორმაგი



კრისტალები ალბიტისა და La roe Tourné-ის კანონების მი-
ხედვით. აქვე იმყოფება მკრთალი-მწვანე ავგიტი და ბიოტიტი
ანდეზიტი შეიცავს აგრეთვე ცოტაოდენ მაგნეტიტს.

სოფელ ნაცხავატევში დამახასიათებელი ქვის ჯიში შეი-
ცავს: მაგნეტიტის მარცვლებს, პლაგიოკლასს, ამ საერთო მა-
საში შერეულია მოზრდილი კრისტალები მკრთალი-მწვანე ავ-
გიტისა, რომლის დაბნელების კუთხე ϵ : $n\gamma$ 40° . ცოტაოდენი
ფსევდომორფოზი სერპენტინისა კალციტით ოლივინის მიხედ-
ვით: ამ ქვის ჯიშს შეიძლება ვუწოდოთ ანდეზიტ-ბაზალტი.
ამავე სოფელში, ხშირად ვხვდებით ანდეზიტებს, რომელნიც
შეიცავენ: მაგნეტიტის მარცვლებს, პლაგიოკლასს, მოზრდილ
კრისტალებს მკრთალი-მწვანე ავგიტისა, რომლის დაბნელების
კუთხე ϵ : $n\gamma$ 41° . მოიპოვება ფსევდომორფოზი ქლორიტისა
ამფიბოლის მიხედვით.

სოფ. აჭი. საერთო მასა შესდგება მაგნეტიტის მარცვლე-
ბისა და პლაგიოკლასის მიკროლიტებისაგან; მოზრდილი კრი-
სტალები ავგიტისა, დაბნელების კუთხე ϵ : $n\gamma$ 43° . ამ ანდე-
ზიტში დამახასიათებელია ანკლავი, რომლის შემადგენლობაა
ოლიგოკლასი.

სოფელ ლეხაურში ძველი ციხე გაშენებულია ანდეზი-
ტების ლავაზედ, რომლის ნიმუში ასეთი შემადგენლობისაა: მა-
გნეტიტის მარცვლები, ავგიტი, ოლიგოკლასის მიკროლიტები,
მოზრდილი ორმაგი კრისტალები ლაბრადორისა, კარლსბადისა
და ალბიტის კანონის მიხედვით აგებული. მკრთალი-მწვანე
ავგიტი, დაბნელების კუთხე ϵ : $n\gamma$ 41° ; ქლორიტიანი ბისილი-
კატი.

სოფელი გოგეთი — მდინარე აგიდაყვა. საერთო მა-
საში მოზრდილი კრისტალები პლაგიოკლასისა, ჯვარედინ ნი-
კოლზედ მოლურჯო ელფერისა, რაიც გვიჩვენებს ცოიზიტის
წარმოშობას. მკრთალი-მწვანე ავგიტი, აგრეთვე ქლორიტიანი
ბისილიკატი. აქვე გვხვდება მოზრდილი კრისტალები აპატიტი-
სა. მდინარე აგიდაყვას ხეობაში მოიპოვება აგრეთვე ისეთი
ანდეზიტი, რომლის შემადგენლობა უფრო მარტივია: ძირი-



თად მასაში შერეულია ავგიტი და ფსევდომორფოზის კალციტისა, კვარცისა და ქლორიტისა.

ბაზალტები. სოფ. ბაილეთში ვულკანური ლავა თვალსაჩინოდ არის გავრცელებული. განსაკუთრებით დამახასიათებელია ლავას მოხაზულობა ბაილეთის ჩრდილო საზღვარზედ, სადაც აკრავს მდ. სუფსის ხეობა. ძირითად ამორფულ მასაში გაფანტულია მაგნეტიტის მარცვლები, ავგიტი, პლაგიოკლაზის მიკროლიტები, ლაბრადორ—ბიტოვნიტს შუა მდებარე სერიისა. ამ საერთო მასალაში ჩაფლულია მკრთალი-მწვანე ავგიტის მოზრდილი კრისტალები, რომელთა დაბნელების კუთხე $c : 11\text{d} . 42^\circ$. ოპტიკური ღერძის დადებითი კუთხე 5ნ . აქვე ვპოულობთ მუქი რკინის ფსევდომორფოზს კალციტით ოლივინის გასწვრივ. ამავე ქვის ნიმუშში მოიპოვება ანკლავები: ზოგი მათგანი შეიცავს ავგიტის ინდივიდებს. ზოგი კი ავგიტისა და პლაგიოკლაზების აგრეგატებს. ავგიტი ისეთივეა, როგორც თვით ქვის საერთო მასაში. ხოლო პლაგიოკლაზი ბიტოვნიტის ჯგუფისაა. ორმაგი კრისტალები ალბიტისა და მანებახის კანონების მიხედვით არის აკებული.

სოფელ ბაილეთშივე ვხედებით ზემოდ აღწერილ ნიმუშის მახლობელ ქვის ჯიშს, რომლის დამახასიათებელი შემადგენლობა ასეთია. საერთო ამორფულ მასაში იმყოფება: მაგნეტიტის მარცვლები, ილმენიტი, პლაგიოკლაზის მიკროლიტები, მკრთალი-მწვანე კრისტალები ავგიტისა, ფსევდომორფოზი სერპენტინისა კალციტით უთუოდ ოლივინის გასწვრივ. სოფელ ბაილეთში ნაპოვნი ლავების შემადგენლობა იძლევა საბაბს ვიფიქროთ, რომ აქ საქმე გვაქვს ბაზალტებთან, ვინემ ტიპიურ ანდეზიტის ლავასთან. ამ მოსაზრების გამო ბაილეთის ლავა მივაკუთნეთ ბაზალტის ჯგუფს.

ვულკანური ტუფები. სოფელ გორის ფერდში (შემოქმედის თემი) მეტად დამახასიათებელია ნაცრისფერი ქვის ჯიშში, რომლის გარეგანი შეხედულობა და შემადგენლობა აშკარად მოწმობს მის პეტროგრაფიულ სახეს. ეს ქვა შესდგება ამორფული მასლიდან, სადაც ვპოულობთ: ავგიტის ნამტკრევებს, ბიოტიტს, პლაგიოკლაზს (ლაბრადორი); ამ უკანასკნე-



ლის ორმაგი კრისტალები აგებულია ალბიტისა და La roe Tourne კანონის მიხედვით. ასეთი შემადგენლობა საბაზს იძლევა აღწერილი ნიმუში ჩავთვალოთ ანდეზიტის ტუფად. ამგვარი ტუფი გვხვდება აგრეთვე სოფელ მაკვანეთის მიდამოებში.

სიენიტი. უკვე ვსთქვი, რომ გურია-აჭარის მთების ჩრდილო ნაპირზედ მეტად საინტერესოა სიენიტების კუნძული, რომლის მოცულობა ზემოდ მოვიხსენე. სიენიტის ნიმუში, რომელიც ლაბორატორიაში შევისწავლე, ასეთი დამახასიათებელი შემადგენლობისაა: ორტოკლაზი, პლაგოკლაზი, ბიოტიტი. მეორე ხარისხოვან მინერალთა შორის ამ სიენიტში ეპოულობთ აპატიტს. სიენიტი კარგად არის განვითარებული სოფ. გომის ზემოდ, მდ. ბჟუეის და ჟესტერის ხეობებში. შესწავლილი სიენიტი ღია ვარდის ფერია, ხშირად ძალზედ გახრწნილი და დაშლილი.

დიორიტები. სოფელ ვაკიჯვარის ზემოდ, მდ. ნატანების ხეობაში, სადაც სიენიტის კუნძული სუსტდება, გავრცელებულია კრისტალოვანი ქვის ვიწრო ზოლი. ამ ქვის ნიმუშის შესწავლამ გამოარკვია, რომ სიენიტის კუნძულის სამხრეთით გავრცელებულია დიორიტი. ადვილი შესაძლებელია, რომ სიენიტი განსახლებულ პირობათა მეოხებით, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, გადიქვა დიორიტის შემადგენლობის მასად. აღწერილი დიორიტის შემადგენლობა ასეთია: ოლიგოკლაზი, ბიოტიტი; მეორე ხარისხოვანი მინერალები: ტიტანიტი და ილმენიტი.

საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ ვაკიჯვარის მახლობლად, დიორიტებში გავრცელებულია სპილენძის მადნის ძარღვები. დიორიტების ზოლის სამხრეთით კვლავ იწყება ანდეზიტების ლავა და მხოლოდ იშვიათად თუ ვხვდებით პალეოგენის ქვაქვიშიან სელიმენტებს. სიენიტისა და დიორიტის მახლობლად სელიმენტებმა, ეტყობა, განიცადეს მეტამორფიზმი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამა მოვლენის გასარკვევი საკმაო მასალის პოვნად ღიდ სიძნელეს წარმოადგენს.

სიენიტის კუნძულის სამხრეთით, როგორც ნათქვამი იყო, კვლავ იწყება ანდეზიტების ლავა. 1920 წ. საშუალება მქონდა



შემესწავლა გურია-აჭარის მთების (გომის მთა, საყორნის მთა მარო) გეოლოგიური მოქნილობა: ამ ადგილებში ნის ფენები, ისე როგორც სამხრეთ კალთებზედ, იშვიათად ვადურჩენ ანდეზიტის საფარს. კინკაოს ტბის მახლობლად აღმოვაჩინე, რომ ავგიტიან ანდეზიტს თან ახლავს ამფიბოლიანი ანდეზიტი; ამგვარ შემთხვევას ვხვდებით აგრეთვე საყორნის მიდამოებში, სადაც ამფიბოლიანი ანდეზიტები გაცილებით ნაკლებია, ვინემ ავგიტიანი. ანდეზიტების ამ ორი სახის თანხლება მეტად დამახასიათებელი მოვლენაა გურია-აჭარის მთა-გრებილისათვის.

Résumé.

Matériaux pour la géologie de la Géorgie occidentale. Dans ce premier article, l'auteur nous fait connaître, en grandes lignes, la géologie de Gouria notamment celle de la cuvette d'Osourgueti. Les plus anciennes formations géologiques de la région étudiée, accessible à l'observation, sont représentées par les argiles avec les restes de poissons (Melleta) de nummulitique moyen.

Audessus viennent les grés avec la faune sarmatique: Spaniodontella, Modiola, Tapes, Mactra etc.

Méotien est bien développé dans les environs de Kouçkati; il est caractérisé par les restes de Scrobicularia tellinoides. Pontien est représenté près d'Osourgueti, Gogoreti, Achalsopeli avec la faune riche et variée: Congeria digitifera Andrus. Valenciennesia Kiseljaki Gorj. Cardium Abichi Hoern. Plagiodacna carinata Desh. Limnocardium subsquamulosum Andrus. Didaena planicostata Desh. Phyllicardium planum Desh. Dreissensia rostriformis var. Gibba Andrus. Lycraea cylindrica Stol. Bythinia pumila Brus.

Cimmerien est bien développé dans les environs d'Osourgueti, Spotieti et dans la région de Gouriantha où on trouve la faune caractéristique: Dreissensia dilatata Andrus.



var. major. *Dreissensia Theodori* Andrus. *Congeria turgidopsis* Andrus. *Phyllicardium allatoplanum* Andrus. *Didacna cras-satellata* Andrus. *Prosodacna macrodon* Desh. *Melanopsis spi-nigera* Sen. *Melanopsis Spotietis* nov. sp. *Congeria Colchica* nov. sp. *Prosodacna longiuscula* Sen. *Tylopoma Pilari* Nem. *Zagrabica naticina* Brus. *Zagrabica carinata* Andrus. Les couches de Tschaouda se trouvent dans les environs de Lesséli, Jacobi, Nachveta; on y trouve les restes des mol-lusques: *Didacna Tschaoudae* Andr. *Didacna* sp. nov.? *Didacna crassa* Eichw. *Didacna Bairi* Grimm. *Dreissensia polymorpha* var. *flaviatilis*. On voit que le Néogène supérieur est repré-senté dans la cuvette d'Osourgueti sans lacune.

Au point de vue pétrographique la cuvette d'Osourgueti est caractérisée par les andésites augitiques. Près de Yaki-djvari et Gomi on trouve des Syenites. Au sommet de la chaîne de Gouria on trouve des andésites augitiques et amphi-boliques.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

სომხური სიძველენი ტფილისის ახლო მიღამოვში.

მავანძაღ-თულუთ-ჩავკისა ¹.

რამოდენიმე წელიწადია უკვე რაც „Corpus inscriptionum armenicarum Georgiae“-ს შედგენას შევუდგექი. ამ „Corpus“-ში მოსათავსებელი ზოგიერთი მასალა, წინასწარი წერილების სახით, გამოვაქვეყნე კიდევ სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა გამოცემებში. მაგალითად, 1914 წელს გამოვეცი გორის მახრანში მდებარე ს. ვაყს (ბეგთაბეგაანთ ყოფილი მამული) სომხურ-ქართული წარწერები ², 1918 წელს გამოვაქვეყნე ასეთივე წარწერები ქვახრელისა (უფლისციხის პირისპირ) ³, ხოლო 1920 წელს — კომპლექსი ატენის სიონის სომხური წარწერებისა ⁴. ამნაირადვე დამზადებული მაქვს ე. წ.

¹ ნაწილი ამ წერილისა, თელეთის ეპიგრაფიკის შესახებ, სხვა მასალებთან ერთად, საერთო სათაურით „ნაკვეთები სომეხთა კოლონიზაციის ისტორიიდან საქართველოში“, ჩემ მიერ წაკითხულ იქმნა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1922 წლის 21 ივლისის კრებაზე.

² Л. Меликсетъ-Бекговъ. Усыпальница кня. Бегтабег-вухъ. Тфл. 1914. Стр. 1—14.

³ Л. Меликсетъ-Бекговъ. Пещерный городъ Квахре-ли. — „Извѣстия Кавказскаго Музея“, т. XI, 1918, в. 3—4, стр. 208—218 (стр. оттиска 1—11).

⁴ ლეონ მელიქსეთ-ბეგი. ძველი სომხური ქრესტომატია ლექსიკონითურთ. ნაკვეთი პირველი. ქრესტომატია (ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა). ტფილისი 1920, გვ. 112—113.



„გარესჯის მრავალმთის“ უდაბნოთა რაიონში არსებული სომ. ხური წარწერები¹ და, გარდა ამისა, დრო-გამოშვებით და თანდათანობით ვაგროვებ ასეთსავე წარწერებს სხვა რაიონებისა.

მიმდინარე ზაფხულს განვიზრახე ტფილისის ახლო მიდამოების სომხური წარწერების შეგროვება, რაშიც, სხვათა შორის, დახმარება გამიწია განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულმა სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობამ.

ამ მიზნით მოვაწყე ორი ექსკურსია: ერთი—შენაბად-თელეთ-კრწანისის რაიონში, სადაც საერთოდ შეგჯუფული საქართველოს სომეხთა ეპარქიის წინამძღვრის (მთაწმინდე) გამგეობის ქვეშე მყოფი სალოცავ მონასტრები, მეორე კი—ს. წაგკისს.

პირველი რაიონი ცოტად თუ ბევრად საინტერესოა როგორც ისტორიულ-არქეოლოგიურის, ისე ბოტანიკურ-გეოლოგიურის თვალსაზრისით.

საკმარისია მოვიგონოთ 1795 და 1921 წლების ამბები, რომ ჩვენთვის ცხად იყოს დიდი ისტორიული მნიშვნელობა ამ ადგილებისა საერთოდ და ე. წ. „კრწანისის ველისა“ კერძოდ. მაგრამ, არქეოლოგიურის მხრით მათ შორის საინტერესოა მხოლოდ თელეთი.

რამოდენიმე გვარიანად ეს რაიონი შესწავლილია ფლორის მხრით. ამის შესახებ დაუწერიათ ყველა იმ პირთ, რომელთაც კი ოდესმე უმუშავნიათ ტფილისის მიდამოების მცენარეების მოგროვებასა და შესწავლაზე, ასეთია, მაგალითად, სხვა-და-სხვა სამეცნიერო გამოცემებში მოთავსებული ანდა ცალკე წიგნად გამოცემული ნაშრომები: ო. მიცკევიჩის და მ. ნებრინცევისა (1914), დ. სოსნოვსკისა (1915, 1918), ბ. შიშკინისა (1919), დ. სოსნოვსკის და ა.

¹ ამის შესახებ „წინასწარი ანგარიში“ წარდგენილ იქნა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების განყოფილების 1922 წლის 1 თებერვლის სხდომაზე.



გროსჰეიმისა (1920) და სხვა. ე. წ. „სოღანლულის“ ანუ „თელეთის“ ქედზე დარგული ტყის შესახებ ცნობებს აქვე ვ. ლისნეესკი (1896)¹, დ. სოსნოვსკი (1915)² და სხვანი. ხოლო გეოლოგიური თვისებების შესახებ დ. ივანოვი (1914); სპეციალურად „თელეთის“ ქედი შესწავლილი აქვს ვ. სმირონოვს (1916)³; უკანასკნელ ხანში კი ამაზე სხვათა შორის მუშაობს, რამდენადაც ვიცი, ნ. ყიფიანი, რომლის მასალებიც ჯერჯერობით არაა გამოქვეყნებული.

* * *

პირველი ექსკურსია, ე. ი. შავნაბად-თელეთ-კრწანისის რაიონში, შესდგა შემდეგი მარშრუტით: „კრწანისის ველი“ — შავნაბადი — ხატის-თელეთი — ე. წ. „ბულბულის ქალა“ (соловьиная роща) — კრწანისის „წირანაური“ ანუ „წინანაური“ — ტფილისი.

ამ ექსკურსიის დროს, რასაკვირველია, პირველად შეეჩერდი შავნაბადზე, რომელიც მდებარეობს ე. წ. „სოღანლულის“ ანუ „თელეთის“ ქედის ვულკანურ წარმოშობის ერთ კონუსებზე ბორცვზე და ფრიალ ლამაზ სურათს წარმოადგენს. ეკლესია სიმრეკლოითურთ აშენებულია მე-XIX-ე საუკუნის პირველ ნახევარში, სახელდობრ (წარწერებისდა მიხედვით) 1839 და 1845 წლებში, და, როგორც ეტყობა, ძველი ეკლესიის ნანგრევებზე ან მის ადგილას. თუ როდისაა ეს ეკლესია თავდაპირველად დაარსებული, ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია. ყოველ შემთხვევაში, ის ყოველთვის ყოფილა და არის კიდევ

¹ В. Лисневский. Тифлисское горно-культурное движение и горно-культурные работы в окрестностях Тифлиса [оттиск из „Трудовъ Кавк. Отд. Рос. О-ва Садоводства“], Тиф. 1896, стр. 3—5.

² Д. Сосновский. Процессы печенювенія лѣсовъ въ ближайшихъ окрестностяхъ Тифлиса, — „Извѣстия Кавк. Отд. Рус. Геогр. О-ва“, т. XXIII, 1915, № 1, стр. 41, 43—45.

³ Г. Смирновъ. Эффузивныя породы Телетскаго хребта около Тифлиса, — „Извѣстия Кавк. Отд. Рус. Геогр. О-ва“, т. XXIV, 1916, № 3, стр. 333—337.



წმ. გიორგის სახელზე და ითვლება ფრიად მნიშვნელოვან სალოცავ-ხატად ტფილისისა და ახლო-მახლო სოფლების სომეხ-ქართველ მოსახლეობის თვალში.

თვით სახელწოდება „შავნაბადი“ ალბად „შავ ნაბადს“ უნდა ნიშნავდეს; რატომ—ჯერ კიდევ საკითხია: თუმცა ლიტერატურაში არსებობს ერთგვარი ცდა მისი ახსნისა, როგორც „სეფი-აბადისა“, და ეს ცდა ეკუთვნის განსვენებულ პლატონ იოსელიანს¹.

ვიანიდან ჩვენ მოგვიხდა შეჩერება შავნაბადზე, ზედმეტი არ იქნება მოვიყვანო აქ მისი აღწერა, რომელიც მოიპოვება ხსენებულ პ. იოსელიანის 1850 წელს გამოცემულ წიგნაკში. ეს აღწერა მომყავს სტილისა და ორთოგრაფიის დაცვით:

„По выше Согандуъ, на концѣ хребта, отдѣляющаго Тифлисъ отъ Телети, Кумиси и др. населеній, на высокомъ, одинокомъ и красивомъ пикѣ горы возвышается церковь Армянская, не давно снова построенная. Мѣсто это въ устьяхъ народа называется *Шавъ-Набада*, и на ней то была раскинута палатка Ага-Магомет-Хана предъ вступленіемъ его въ Тифлисъ и разореніемъ города въ 1795 году. Грузинскія лѣтописи молчатъ объ этомъ мѣстѣ и названіе его едва ли не объясняется Шардениомъ, который пишетъ слѣдующее...“².

აქ პ. იოსელიანს მოჰყავს შესაფერისი ციტატა შარდენიდან (1672), რუსულად თარგმნილი, შემდეგის შინაარსისა:

„On va voir à quelque distance une maison royale qu'on appelle Sefy-abad (Sséfy ábád), c'est-à-dire l'habitation de Sefy, qui étoit ce roi de Perse qui commença à régner l'an 1627. Elle est située sur le haut d'une colline accom-

¹ П. Иоселиани. Путевыя записки отъ Тифлиса до Ахала. Тфл. 1850. Стр. 5—7.

² Ibid., стр. 5--6.

modée en larges terrasses; avec des canaux et de cascades partout. C'est un lieu charmant au printemps par le parfum des fleurs et les saisons suivantes par l'abondance des fruits délicieux" ¹.

ამის შემდგომ პ. იოსელიანი ამბობს:

„Свѣдѣніе это очень важно къ объясненію искаженнаго мѣстнаго названія *Шавъ-Набада* вмѣсто правильнаго Сефи-Абада. Въ текстѣ Шардена есть только ошибка въ годѣ воцаренія въ Персіи Шаха-Сефи; потому, какъ извѣстно, что онъ вступилъ на престолъ въ 1629 году“ ².

„Отъ куда же могло произойти такое названіе, спросить многіе, когда не видно изъ исторіи, былъ ли въ Грузіи Шахъ-Сефъ? Очень вѣроятно, что Ростомъ, наименованный царемъ Грузіи Шахомъ-Сефомъ, расположился на время въ виду Тифлиса, и раскинута была на этой высотѣ палатка войска Шаха-Сефа, отъ имени котораго и вся мѣстность около банъ въ Тифлисѣ, занятая имъ, также получила названіе Сейдабада“ ³.

თელეთი მდებარეობს შავნაბადის სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. თელეთი რამოდენიმეა, და მათ შესახებ პ. იოსელიანი სწერს:

„Телети—село, раздѣленное на три участка по древней принадлежности ихъ церкви и помѣщикамъ, и расположено по склону горы, отдѣляющей его отъ Тифлиса. Одно изъ нихъ странно именуется *Курди Телети* (ქურდი თელეთი или Воль Телети); другое *Хатисъ-Телети* (ხატის თელეთი) или Телети Св. иконы въ очевидное доказательство принадлежности его церкви. Третій отдѣлъ Телети есть достоя-

¹ Chardin, Voyages en Perse et autres lieux de l'Orient. t. II, Paris 1811, p. 140;—Путешествіе Шардена по Закавказью въ 1672—1673 г.г. Пер. Е. В. Вахутовой и Л. П. Носовича [изъ жур. „Кавказскій Вѣстникъ“], Тфл. 1901, стр. 282.

² П. Иоселиани, ц. с., стр. 6.

³ Ibid., стр. 6—7.



ние Князей Мухранскихъ. Телетскій Храмъ, посвященный имени Св. Георгія, икона которой называется у Вахушты *Чудотворною*, принадлежит Армянамъ¹.

3. იოსელიანის ამ სიტყვებს სჭირია ერთი განმარტება: „მუხრან-თელეთი“ ამ ეპოქად ცნობილია „მირზოან-თელეთად“, — ცხადია, იმიტომ, რომ მუხრან-ბატონთაგან ის ერთ დროს მირზოანთ ხელში გადასულა.

თვით „თელეთის“ სახელწოდების შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი. მას საფუძვლად აქვს ქართული სიტყვა „თელა“ (ulmus) და ჩვეულებრივი სუფიქსი ადგილის აღსანიშნავად „-ეთ“: „თელა-ეთი“ < „თელ-ეთი“ (contractio-ს გზით). ესევე „თელა“ გვხვდება აგრეთვე სახელწოდებებში: „თელი-ან-ი“, „თელ-ავ-ი“².


სამ თელეთს შორის ეკლესია ანუ ეკლესიები მოიპოვება მხოლოდ ხატის-თელეთში³; აქ ორი ეკლესიაა: ერთი — წმ. გიორგისა, და მეორე ღვთისმშობლისა; ორივე სომხები-საა. თავისი წარსულითა და ეპიგრაფიკული ნაშთებით ერთგვარ ინტერესს წარმოადგენს პირველი, რომელზედაც შევჩერდები ცოტაოდენ ვრცლად.

როგორც შენაბადის, ისე თელეთის აწინდელი „წმ. გიორგი“ აშენებულია ბოლო ხანებში, შესაფერისი წარწერების მიხედვით, მე-XIX-ე საუკუნეში. — უფრო ძველი ეკლესიის ადგილას ანუ მის გვერდით. რომ თელეთის „წმ. გიორგი“ არსებობდა მე-XIX-ე საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრე, სხვათა შორის, მტკიცდება იმიტომ, რომ ის ძველად მოხსენებულია საისტორიო საბუთებში და აგრეთვე ხალხურ ზეპირ სიტყვიერებაში. მაგალითად, თელეთის „წმ. გიორგი“ [ტფილისის] მოღინის „წმ. გიორგისთან“ ერთად ნაჩვენებია დავით-

¹ Ibid., стр. 7—8.

² უკანასკნელის ეტიმოლოგიის შესახებ იხ. II. Марр. Историческія названія деревьевъ и растений (Pluralia tantum), — Известія II. Академіи Наукъ, 1915 г., стр. 833.

³ სხვათა შორის, ამ ხატის-თელეთიდან არიან „ხატისაშვილები“ („ხატისოვები“) და „თელეთიშვილები“ („თელეთოვები“).



გარეჯის უღაბნოს 1724 წლის ერთ სიგელში (№ 149) ნასკნელში. სხვათა შორის, მოხსენებულია ყველა გიორგი¹, რომლის მფარველობას ანდობს თავის თავს სიგელის გამომცემელი: „წმინდა] გიორგი გორისჯვარისა, წმინდა გიორგი ატოცისა, წმინდა გიორგი თელეთისა, წმინდა გიორგი მოღნინისა“¹. გარეშე საქმეთა ყოფილ სამინისტროს არქივში მოსკოვში (ახლა 3-ე Московское отделение еишого государственного архивного фонда), აწ განსვენებულ ალ. ხახანაშვილის სიტყვით, მოიპოვება ერთი ფრიად საყურადღებო ხელნაწერი, რომელიც წარმოადგენს შელოცვას რჩეულ წმიდათა მიმართ; აქაც სხვა-და-სხვა „წმ. გიორგების“ ნუ.ხაში, სხვათა შორის, მოხსენებულია წმ. გიორგი „თელეთისა“ და „მოღნინისა“ (ხელნაწერში აღბად შეცდომითაა „ვოღოღნინისა“)². აგრეთვე თელეთი მოხსენებულია ვახუშტ ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია“-ში: „კლმისის აღმოსავალით, მტკვრისაკენ, არს თელეთები და ეკლესია წმიდის გიორგისა სასწაულთმოქმედი“³. ხალხში ბაასის დროს ძველ დროიდან ჩვეულებრივ ამბობენ: „ვინც სტყუის, თელეთი გაუწერეს“; ქეიფის დროს კი, როდესაც ჰსურთ დააღვინონ ვისმეს ზედმეტი ჭიკა ღენიო, ამბობენ: „ვინც არ დალიოს, თელეთმა დაკუტოს“⁴. ესევე თელეთი უკვდავ ილია ქავჭავაძის „კაცია ადამიანი“ გამოყვანილია ფრიად მნიშვნელოვან და ძლიერ ხატად, სადაც კითხავის რჩევით, სალოცავად ეშურება თავადი ლუარსაბ თათარიძე დარეჯან მეთლლითურთ⁵.

¹ სარგის ქაკაბაძე. ისტორიული საბუთები. V. ტფილისი 1913, გვ. 36.

² А. Хахановъ. Очерки по исторіи грузинской словесности, кн. I, Москва 1895, стр. 129.

³ ბატონიშვილი ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია, გვ. მ. ჯანაშვილის რედაქტორობით, ტფილისი 1904, გვ. 63.

⁴ J. Медикестъ-Бекотъ. Страна св. Георгія, — „Извѣстія Кавк. Отд. Рус. Геогр. Об-ва“, т. XXIV, 1916, № 2, стр. 227—228.

⁵ ილია ქავჭავაძე. კაცია, ადამიანი. ტფილისი 1919, გვ.



ყველა ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, იგულისხმებენ ტფილისთან ახლო მდებარე „თელეთი“ და არა ის „თელეთი“ (სხვანაირად ე. წ. „წვერო-დაბალი“), რომელიც ცნობილია ნაქალაქევი ქერემის მიდამოებში, შიგნით და გარეთ კახეთის საზღვარზე¹.

ასე თუ ისე, ცხადია, რომ თელეთის „წმ. გიორგი“ მე-XIX-ე საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრეა ცნობილი საისტორიო საბუთებში, ვახუშტის გეოგრაფიაში და აგრეთვე ხალხურ სიტყვიერებაში და, მაშასადამე, მე-XIX-ე საუკუნეზე ადრეც უნდა ყოფილიყოს დაარსებული.


მაგრამ, ეს გარემოება ამ უმად კარგად მტკიცდება ჩემ მიერ გადმოღებულია და შესწავლილი ეპიგრაფიკული მასალების საშუალებითაც.

სომხურ ლიტერატურაში მოიპოვება რამოდენიმე წერილი, რომელიც სპეციალურად ან შემთხვევით ეხება თელეთის „წმ. გიორგს“, მაგრამ არც ერთში ან სრულიად არა განხილული მისი დაარსების საკითხი, ანდა ასეთი განხილვა უშედეგოთაა დატოვებული. 1842 წელს მას ეხებოდა არქიმანდრიტი (შემდეგში ეპისკოპოსი) სარგის ჯალალლიანცი თავის „მოგზაურობა დიდს სომხეთს“ მონოგრაფიის მეორე ნაწილში (სომხურ ენაზე)²: უკანასკნელში ავტორი სათანადო სათაურის ქვეშე (*Թեղეთ* — „თელეთი“) მთელი ორი გვერდის სივრცეზე ლაპარაკობს სალოცავის შესახებ, მაგრამ ეხება მის თანამედროვე, ე. ი. მე-XIX-ე საუკუნის პირველ ნახევრის, ისტორიასა და საერთო მდგომარეობას და, სხვათა შორის, ჩერდება მლოცველთა ზნე ჩვეულებათა აღწერაზედაც; ეკლესიის (მონასტრის) დაარსების შესახებ კი ამბობს შემდეგს: „დასაწყისი

124—125 (ამ გარემოებაზე ყურადღება მიმაქციეინა პროფ. აკაკი შანიძემ).

¹ ამ უკანასკნელის შესახებ იხ. ლეონ მედიქსეთ-ბეგი. არქეოლოგიური მოგზაურობა გარეთ-კახეთსა და ქერემის ხეობაში. „სახალხო საქმე“ 1920 წ. № 945, სვ. 2, და № 951, სვ. 5.

² *Ասրգիտի վ. Զալալյանի. Բնասպարսրդուի խնդիրներն Հայաստան, Բ. Բ. Տիպիս 1842, Կր. 74—76.*



ანუ მიზეზი მონასტრის აღშენებისა დანამდილეებითა არაა, თუმცა [ამის შესახებ] ხშირად ისმის სხვა-და-სხვა კითხვები¹; ამის შემდეგ ს. ჯალალ-იანიც მოჰყავს ცნობა ზაქარია დიაკონის (1626—1699) ისტორიიდან — ეგზიარქონის მახარაში მდებარე ს. მულნიდან ანუ მოლნიდან მე-XVII-ე საუკუნეში წ. გიორგის ნაწილების ტფილისში გადმოტანის შესახებ², და ამ მოვლენას უკავშირებს თელეთის „წმ. გიორგის“ დაარსებას³ (მაშასადამე, მე-XVII-ევე საუკუნეში). თელეთის შესახებ ვაკერით ლაპარაკობს აგრეთვე გ. ტერ-აღე-ქსანდრიანი თავის ერთ საეურნალო სტატიაში, სათაურით „მოლოცვა თელეთის“, რომელიც დაიბეჭდა 1860 წელს⁴. ხოლო თელეთის უკანასკნელ დროის მდგომარეობას ვაკერით ეხება ბ. აფეზიანიცის ბროშურა გამოცემული 1920 წელს მონასტრის აწინდელ წინამძღვრის, დეკანოზის სარგის შიოჯანციის 25-წლის სამღვდლო-სამასწავლებლო-საზოგადო მოღვაწეობის იუბილეის გამო⁵.

თელეთის „წმ. გიორგი“ შესდგება თვით ეკლესიისა და მალალ სამრეკლოსგან. ეკლესია, როგორც უკვე აღვნიშნე, აშენებულია მე-XIX-ე საუკუნეში (მეორე ნახევარში), სამრეკლო კი სახელდობრ 1832 წელს უთუოდ ძველი ეკლესიის ადგილზე. პირველი არაფრითაა საყურადღებო, ხოლო მეორე საქმოდ საინტერესოა როგორც თავის აგებულებით (4-სართულიანია), ისე მასში დატანებულ ძველი წარწერებით. ამ სამრეკლოს მეორე სართულში, გარედან, აღმოსავლე-

¹ Ibid., სრ. 75.

² *Հարսի Իսրայելայ. Պատմագրութիւն. Վարդապետ 1870. Նասոր կերպը* სრ. 38—40;—M. Brosset. Collection d'historiens arméniens, t. II, SPB 1876, p. 184—186.

³ *Ս. Զալալեանց*, op. cit., loc. cit.

⁴ *Գեորգ Տէր-Աղէքսանդրեան. Ուխտայնացւթիւն ի Քէլէթ*, — *Կուռնիկ* 1860 թ. № 11, სრ. 898—922.

⁵ *Բագրათ Ալექսանյ Գանահայրական դպրոցական-Նասորական գործունէութիւն, Տպէք 1920.*



თის კედლის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხესთან, დატანებულ-
ლია მოყვითლო „ხაჩქარი“ (*խաչքար*) ანუ „ქვის-ჯვარი“:
უქანასკნელზე გამოსახულია ჯვარი და მის გარშემო წარწერა
მთავრული ასოებით (*ხრქაწაიქრ*), რომელთაგან ზოგიერთი
გადაბმულია ერთმანეთთან.

აი ეს წარწერა (გადაბმული ასოები აღნიშნულია ხაზ-
გასმით):

<i>III</i>			<i>IV</i>
<i>h</i>	<i>ა, 2</i>	<i>III</i>	<i>რ</i>
<i>ქ</i>			<i>h</i>
<i>ԱԻԱԷ</i>	<i>Տ</i>	<i>ԷՐ</i>	<i>ՅԱԿ</i>
<i>II</i>			<i>ԻՆ</i>
<i>ԹՎԻՆ</i>			<i>ԻՇԼ</i>

რომელიც იკითხება:

«*Ասւրք խաչս բար էխաւս է տէր Յակօբին թվին
ԻՇԼ*».

ე. ი. ქართულად:

„წმიდა ესე ჯვარი მეოხ არს მამა იაკობისა, წელსა 1130“.

ე. ი. (+ 551) = 1681 წ. ქრისტესით.

დანარჩენი წარწერები მოთავსებულია იმავე სამრეკლოს
პირველს სართულში, შიგნით.

სამხრეთის თაღის დასავლეთის ლავგარდანზე, დიდ ლოდ-
ზე, ორ სტრიქონად მთავრული ასოებით გამოსატულია:

...*ԻՆ Ա ՅԱՄԱԹ ԻԻՏԱՅ ՍԱՐԳԻՍ ԻԻՏԱՅ ԳՐԻԳՈՐՍ ԴԻՆ*

...*ՅԻՆ ՔՍ ԻԲ*

რომელიც შეიძლება წაკითხულ იქმნეს ასე:

«*Շնորհան ամենակարգի Ս(սասուն) Յամաթ ուսայ,
Սարգիս ուսայ < ხւ > Գրիգորս յին (ხეցար գեղեղեղ) յին.
< Թուին > Բ(բիսათ)ս < ի > ԻԻՎ*».



ქართული
ლიბრერი

ე. ი. ქართულად:

„[მეოხებითა ყოვლიად-ძლიერ]ისა ღ[მრთის]ათა ასმათ უტა,
სარგის უტა < და > მე, გრიგოლ, [აღვა]შენ[ეთ ეკლე]სია ესე.
< წელსა > ქ[რისტეს] < ით > 1002“.

ეს ფრიად საინტერესო წარწერაა, რომელიც პალეოგრაფიულის მხრით მართლაც შეიძლება მიეკუთვნოს მე-XI-ე საუკუნის დასაწყისს. თუ ვინ არიან მასში მოხსენებულინი ასმათ უტა, სარგის უტა (თუ, რასაკვირველია, სწორეა ჩემი კონიექტურა) და გრიგოლი, — ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია. ეტყობა, რომ იგინი ყოფილან აღმაშენებელნი ეკლესიისა; მაგრამ, რომელი ეკლესიისა, — ესეც საკითხია. ყოველ შემთხვევაში, ვგონებ — არა თელეთისა, ვინაიდან ადვილი საფიქრებელია, რომ ეს წარწერა ძველადვე გადმოტანილ ყოფილიყოს სომხეთიდან სომეხ ლტოლვილთა მიერ.

იმავე სამრეკლოს პირველ სართულში, სამხრეთის კედელზე, მარმარილოს პატარა ქვაზე გამოკტილია ნუსხა ასოებით (*ჟიორაჟი*):

*ყანყასათონი აკა ა-რ ჴიორჟ
ქანაყა ქქქქქი ზანუხერდ ზიორასქ
რთ ზათათონიქ-რ თუთარასქი ზან
ყანყათ. არქსამრჟ მარსაყაჯთ
ზათარასქიქ- ს მანაღანოჟ აჟ
ზილ სოჟორ არსამრჟი ჟარქსანუჟ
ქ ზინ თუთათათარასქი- თ-რ ჴქ
იორჟ თლაჟ ჟანანაჟი მსრჟათ
სანუჟ კამქ თ-ზ 1832 ქი:*

ე. ი. ქართულად:

„სამრეკლო ესე თელეთის წმ. გიორგის მონასტრისა, ან კოშკის ახლად აგებულ სიპტიკითურთ, აღმართა საფასითა კეთილმორწმუნე საზოგადოებისა და მეტადრე კეთილშრომით იავორ არტემიზ ზაფრიანცისა, დეკანოზის გეორგ მეჭრეხიანცის შრომით. წელსა 1832“.



იქვე, სამხრეთის კედელზე, ერთსა და იმავე ქვაზე მოყვანილია ერთ და იმავე შინაარსის ციტატა ფსალმუნთაგან (40.1) სომხურსა და ქართულს ენაზე, რომელთაგან პირველი მთავრული ასოებითაა, ხოლო მეორე მხედრულად.

სომხური წარწერა წარმოდგენილია ასე (5 სტრიქონად):

18 + 27

ԵՐԱՆԻ ՈՐ ԽՈՐ

ՀԻ ԶԱՂՔ-ՏՆ

ԵՒ ԶՏՆ-ՆԿՆ ՅԱ

ԻՈՒՐ ԶՆԱ ՏԷՐ

ე. ი.

„*երանի, որ խորնի ყայყասն ხւ գտնանկն, յաւուր < չարի փրկէ > զնա տէր*“.

იგივე ქართულად (6 სტრიქონად):

ნეტარ არს რომელ

მან გულისკმა ჰ

ყოს გლახაკისა და და

ვრდომილისა დღესა

ბოროტსა იქნას

იგი უფალმან

ე. ი.:

„ნეტარ არს. რომელმან გულის-კმა-ჰყოს გლახაკისა და ვრდომილისა, დღესა ბოროტსა იქნას იგი უფალმან“.

გალაფიანში სხვა-და-სხვა ადგილას გაფანტულია მონასტრის განსვენებულ წინამძღვართა საფლავები, სათანადო წარწერებით, სადაც მოხსენებულნი არიან „არქიმანდრიტები“ (ქარყაყხა), „ხუცეს არქიმანდრიტები“ (ბაკრაყიჩი ქარყაყხა) და სხვანი. აქედან სჩანს, რომ თელეთის „წმ. გიორგი“ მართლაც წარმოადგენდა მონასტერს; თუმცა წინამძღვრად იქ ზოგჯერ ინიშნებოდნენ აგრეთვე მღვდელ-დეკანოზებიც, როგორც, მაგალითად, ზემოდ მოყვანილ 1832 წლის წარწერაში მოხსენებული გეორგ მეპრპიანცი, რომე-



ლიც, ს. ჯალალიანცის სიტყვით, დაინიშნა ასეთი დებობაზე 1826 წელს¹.

მეორე ექსკურსია, როგორც თავის აღვილას უკვე აღვნიშნე, მოვაწყე ს. წავეისს, რომელიც მდებარეობს ტფილისსა და კოჯორს შუა.

აქ საინტერესოა სასაფლაოს ძველი ეკლესია, ტფილისიდან მიმავალ ურმის გზის მარცხნივ. ეკლესია პატარა ჩვეულებრივი ბაზილიკის რიგისა ძალად საკურთხეველითურთ. აქვეს კარები დასავლეთიდან, რომლის ორივე მხარეს კედელში დატანებულია თითო-თითო „ხაჩქარი“, რომელთაგანაც ერთი დიდი, ნაცრისფერი, მარცხნივ, ხოლო მეორე პატარა, მიხაკისფერი, მარჯვნივ. სამხრეთის კედელში დატანებულია პატარა ქვა, ნაცრისფერისა, შემდეგის წარწერით მთავრული ასოებით (5 სტრიქონად):

Ի ԹՎԻՆ ԱԽԻ
ԵՄ ՏՐ ԱԽԷՏԻՍ ՔՆՆԱՍ
ՇԻՆԵՑԻ Մ-Բ ԵԿԷՑԻՍ
ՏՐ Յ-Ս ԸՆԿԱԿ ԱԵԻՄՑ
ԻՄՈՑ

რომელიც იკითხება ასე:

«**Ի ԹՎԻՆ ԱԽԻ. ԵՄ ԱԿՔ ԱԿԷՏԻՍ ՔԱՆԱՆԱ < Կ > Ս ԶԻՆԵԿԻ < Գ > ՍՈՒՐՔ ԵԿԷԿԵԿԻՍ. ՏԿՔ ՖԻՍՈՍ, ԸՆԿԱԿ < Ի > ԱԵՍԱԿ ԻՄՈՑ**»:

ე. ი. ქართულად:

„წელსა 942 [4.551=1493] მე, მამა ავეტის მღვდელმა, აღვაშენე წმიდა ესე ეკლესია. უფალო იესო, მიიღე ზელთაგან ჩემთა“.

დასკვნა.

ტფილისის მიდამოებში არსებულ და ჩემ მიერ განხილულ სამხედრო სიძველეთა შორის ყველაზე საინტერესოა თე-

¹ *И. Яақаліанца, оп. cit., стр. 74.*



ქართული
ენის ინსტიტუტი

ლეთი, რომლის „წმ. გიორგის“ მონასტერი ძველ დროიდან იყო ცნობილი როგორც ფრიად მნიშვნელოვანი სალოცავ-ხატი არა მარტო სომხებისა, არამედ აგრეთვე ქართველებსაც. თუ როდის იყო თავდაპირველად დაარსებული იგი, — ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე მოღწეული 1681 წლის „ხაჩარი“, 1724 წლის სიგელი, ვახუშტის მოწმობა და ხალხური ზეპირსიტყვაობა ადასტურებენ თელეთის ამ სალოცავ-ხატის არსებობას მე-XIX-ე საუკუნეებში გაკლებით უფრო ადრე, ე. ი. მე-XVII-ე საუკუნეში. გარდა ამისა, თელეთის „წმ. გიორგი“ საინტერესოა იმიტაც, რომ მასში დაცულია სომხური ეპიგრაფიკის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშთაგანი — 1002 წლის წარწერა, რომელიც, ჩემის აზრით, ეგების მერმინდელ დროში იყოს გადმოტანილი საქართველოში სომეხ ლტოლვილთა მიერ.

არა ნაკლებ საინტერესოა აგრეთვე წავკისის ეკლესიაც თავისი 1493 წლის წარწერით.

საქართველოს ისტორიის კვლევისათვის უფრო მეტი მასალის მოძიებას მიზნად ისახავს ქართული ენის ინსტიტუტის მიერ გამოცემული „სომხური ეპიგრაფიკის“ კრებულის მეორე ტომის გამოცემა. ამ კრებულში მოყვანილია 1493 წლის წარწერის ასლი, რომელიც თავისი მნიშვნელობის გამო უკვე რამდენიმეჯერ იქნა გამოცემული. ამ წარწერის საფუძველზე შედგენილია ქართული ტექსტი, რომელიც უკვე რამდენიმეჯერ იქნა გამოცემული. ამ წარწერის საფუძველზე შედგენილია ქართული ტექსტი, რომელიც უკვე რამდენიმეჯერ იქნა გამოცემული.



სიმონ კანდელაკი.

Phlebotomus perniciosus (Newstead) საქართველოში.

(ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სანიტარულ ინსტიტუტის ტროპიკულ განყოფილებიდან).

მას შემდეგ, რაც 1920 წელს ბრიტანეთის მუზეუმს ვაუგზავენ ბორჯომის ხეობაში შეგროვილ ფლემობტომთა კოლექცია, რომელიც Newstead-ის გამორკვევით *Phl. perniciosus*-ის სახელ აღმოჩნდა, განვაგრძე ფლემობტომთა შესწავლა საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში.

ამ საინტერესო მწერის შესახებ, რომელიც ჩვენში ჯერ არ არის აწერილი, მე მინდა მკითხველს მოკლე წინასწარი ცნობა მივაწოდო.

Phlebotomus perniciosus — ეს პაწია სისხლმწოვი ორფრთოვანი მწერი — საქართველოში ძლიერ გავრცელებული აღმოჩნდა. თბილ თვეებში ის მოიპოვება ტფილისის თითქმის ყოველ სახლში. ბევრია ბორჯომის ხეობაში და ამ ხეობიდან დაწყებული მტკვრის ნაპირებსა და მის მიდამოს მდებარე სოფლებში. გავრცელებულია აგრეთვე საქართველოს სხვა ნაწილებშიც, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის პირას მდებარე ადგილებსა და მდინარეთა ხეობებში. შარშან მოგზაურობის დროს ვიპოვე ისინი მეზობელ ქვეყნებშიაც — სომხეთსა და აზერბეიჯანში.

თუ ამ შეტად საინტერესო მწერს ამდენ ხანს ჩვენში ვერ ამჩნევენ და მას ყურადღებას არ აქცევენ, აიხსნება იმით, რომ ის შეტად პატარაა და მჩლი საპოვნელი. შესახედავად გამსჭვრი-



ვალეა და შეუიარაღებელი თვალით თითქმის შეუმჩნეველი. დღისით არ ჩნდება; იმალება ბნელ ადგილებში, მხოლოდ ღამით გამოფრინავს. ის არ ბზუის სხვა კოლო-მწერებსავეთ. ჩუმად ეპარება თავის მსხვერპლს—მძინარე ადამიანს, და მეტად მწარედ იკბინება. ვალეიდებისას მძინარე ადამიანი ფლემბოტომთა ნაკბენს ჩვეულებრივად რწყილებსა და ბალინჯოებს აბრალებს.

ბევრ ტროპიკულ სნეულებათა ეთიოლოგიის კვლევა-ძიებაში სისხლმწოვ მწერთა შესწავლამ დიდი როლი ითამაშა. ამ მხრივ ფლემბოტომებიც განსაკუთრებითი ყურადღებას იპყრობენ. იმის გარდა, რომ ისინი თავისი კბენით იწვევენ მწარე ქავილს, ტკივილებსა და ხშირად კანის მძიმე რეაქციას (დაჩირქება, ეგზემა და სხვა), ავრცელებენ ზოგიერთ სნეულებასაც. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ფლემბოტომთა ერთი სახე, სახელდობრ *Phl. papatasi* ავადმყოფობა, პაპატაჩის გამავრცელებელია. 1917 წელს ტრაპიზონში ჩვენ მიერ ნახულ და შეკრებილ *Phl. papatasi*-ის საშუალებით ექსპერიმენტალურის გზით გადავიტანეთ იქ ადგილობრივად გავრცელებული, ეგრეთ წოდებული სნეულება „ჰავა“ და მით დავამტკიცეთ ამ სნეულების ინდეტიურობა ციება პაპატაჩისთან.

1917–1919 წლებში საქართველოში ჩვენ მიერ შეგროვილ ფლემბოტომთა კოლექციებიდან ბორჯომის ხეობის კოლექცია გავუზგავნე ბრიტანეთის მუზეუმს ვასარჩევად. ამ კოლექციის ფლემბოტომები პროფესორ Newstead-ის გამორკვევით აღმოჩნდა *Phl. perniciosus*-ის სახედ. ამ სახეს, ისე როგორც მის ახლო მონათე ავე სახეს—*Phl. papatasi*-ის, შეუძლია გაავრცელოს პაპატაჩი და სხვა ამგვარი ინფექციური სნეულება (Newstead, Doerr, Russ). *Phl. perniciosus*-ის გარდა, ჩვენში გავრცელებულია ფლემბოტომთა სხვა სახეებიც. ამაში ჩვენ გვარწმუნებს ჩვენი შემდეგი დაკვირვებანი და საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში შეგროვილ ფლემბოტომთა კოლექციები. მათი სახის სწორედ გამორკვევა ამ ქამად ძნელია საქირო მასალებისა და სახელმძღვანელოების ჩვენში უქონლობის გამო. ახლა ყოველი პრაქტიკოსმა ექიმმა კარგად



იცის, რომ ზაფხულის მოკლევადიანი ავადმყოფობა კარგად
 ტაჩი — არც ისე იშვიათია ჩვენში, ზშირად მას მალე
 ინფლუენცად ან უბრალო კუჭის აშლის შედეგად სთვლიან.
 უმე ზეს შემთხვევაში ექიმი დიაგნოზს გამოურკვეველად სტო-
 ვებს ავადმყოფის შემდეგ ნახამდის, ამ დროს კი ავადმყოფი
 უკეთ ხდება და დიაგნოზიც გამოურკვეველი რჩება. რაკი
 სწულდება მოკლევადიანია და ყოველთვის კარგი შედეგი
 აქვს, მას ჯერ კიდევ ჩვენში საკმაო ყურადღებას არ აქცევენ
 და დაკვირვებებს არ ახდენენ.

მაგრამ არა მარტო პაპატაჩის გავრცელებით განისაზღ-
 ვრება ფლებოტომთა როლი ტროპიკულ მედიცინაში. ძათა
 Ed. და Et. Sergeant-ის უკანასკნელმა ექსპერიმენტალურმა
 ცდამ (1921 წ.) კიდევ ახალ მხრივ აღძრა ინტერესი ფლე-
 ტომებისადმი. ჯერ კიდევ 1904 წ. ხსენებულმა მეცნიერებ-
 მა პირველად გამოსთქვეს ის აზრი, რომ ფლებოტომების
 საშუალებით ვრცელდება კანის ლეიშმანია. 1921 წელს ეს
 აზრი მათ დაამტკიცეს ექსპერიმენტალურის გზით. კანის ლეი-
 შმანიის სამეფოში — ბისკრში და ზოგიერთ სხვა ადგილებში შე-
 კრებილი ფლებოტომები გადაიყვანეს აღმოსავლეთში, რომელიც
 სრულებით თავისუფალია ამ ავადმყოფობისაგან. ცოცხლად
 ჩამოყვანილი ფლებოტომები მათ დაყვეს ჯგუფებად და გააკე-
 თეს ცდები. 1921 წლის 17 მარტიდან ითვეს ბისკრში და-
 ქერილი 7 ფლებოტომი სამი დღის შემდეგ, ე. ი. 20 მარტი-
 მობისთვის გაგლისეს ფიზიოლოგიურ სითხეში. მიღებული
 ემულსია აუტრეს ერთ ადამიანს წინა მხარზე. 13 ნოემბერს,
 ე. ი. ერთ თვისა და 24 დღის შემდეგ, რაც ბუნებრივ ინკუ-
 ბაციას უდრის, ანაეტრ ადგილას გაჩნდა შუაზე ქერქით დაფა-
 რული პაპულა, ქერქის ქვემოთ გრანულიაცია, რომელშიც
 მრავალი ლეიშმანიები აღმოჩნდა მიკროფაგებში და თავისუფ-
 ლად მდებარე. ამ ცდით ნათლად დაამტკიცეს ფლებოტომითა
 როლი კანის ლეიშმანიის გავრცელებაში.

ლეიშმანია — ეს მეტად მძიმე სწულდება — ჩვენშიცა გავრ-
 ცელებული. ალ. გურკოს აღწერილი აქვს რამოდენიმე შემთ-
 ხვევა საერთო ლეიშმანიისა ჩვენში — კალი-აზარისა. მართალია,



ეს შემთხვევები უმთავრესად შეზობელ ქვეყნებიდან შემოსულებს ეკუთვნის, მაგრამ არსებობს ნამდვილი ადგილობრივად წარმოშობილი შემთხვევებიც. ამ უკანად ჩვენ გვყავს ორი შემთხვევა: ერთი საბურთალოელი (ტფილისი) ბავშვი (ბაქარძისა, 8 წლ.) აქ დაბადებული და აღზრდილი. მეორე გორის მაზრის სოფელ ხიდისთავიდან (ჯაგნიშვილის ბავშვი, 6 წლ.) იქ დაბადებული და აღზრდილი. ამ უკანასკნელს კანის ლეიშმანიაც აქვს. ორივეს ელენთიდან აღებული სისხლი გ. ელიაშვილის დახმარებით დათესილ იქმნა NNN კულტურაში. მიღებულია სუფთა ცოცხალი კულტურა. როგორც საბურთალოსა, ისე ხიდისთავში აუარებელი ფლებოტომებია. ხიდისთავში პაპატაჩიკაა გავრცელებული. აღსანიშნავია—ჩვენში სადაც ლეიშმანია აღმოჩნდა, იქ ფლებოტომებიცაა გავრცელებული.

ჩვენში ძალის ლეიშმანიაც ხშირია. ტფილისის ქუჩებზე ხშირად გვხვდება ლეიშმანიანი ძაღლები. ძაღლის ლეიშმანიის ერთ შემთხვევაში, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე ვნახეთ მ. ფარცვანიძესა და დ. ბარნაბიშვილთან ერთად, დავიჭირეთ და გაცეთისას, აუარებელი ლეიშმანიები აღმოჩნდა ძაღლის ყველა შინაგან ორგანოებში. აქ გვხვდება ძაღლის კანის ლეიშმანიაც. ლეიშმანიანი ძაღლები ბათუმშიც ბლომად ვნახეთ შარშან ზაფხულში იქ მუშაობის დროს; იქ ფლებოტომებიც ბევრია.

ის გარემოება, რომ ლეიშმანიანი ავადმყოფები და ფლებოტომები გვხვდება ერთ და იმავე ადგილას, ჩვენს ყურადღებას იქცევდა 1917 წ. მუშაობის დროს ოსმალეთში. სადაც ჩვენ გავზავნილი ვიყავით ადგილობრივ ტროპიკულ ავადმყოფობათა შესასწავლად.

Sergent-თა უკანასკნელი ცდა და ფლებოტომთა როლი ლეიშმანიის ეთიოლოგიაში საგულისხმოა ჩვენებურ ენტომოლოგთა და ექიმთათვის. ჩვენში გავრცელებულ ლეიშმანიის შესწავლას ფლებოტომთა შესწავლაც უნდა დაუკავშირდეს. ადვილი შესაძლებელია ისინი ავრცელებდნენ არა მარტო კანის ლეიშმანიას, არამედ საერთო ლეიშმანიას—კალია-მაზრასაც. შესაძლებელია აგრეთვე, რომ მათ გადააქვთ ეს სენი ლეიშმანი-



ით აედამყოფ ძაღლიდან ადამიანზე ყველა ამ საკითხებზე და გამოიკვლევა უნდა ჩვენშიც; ამიტომ საჭიროა ჩვენში გავრცელებულ ფლებოტომთა ყველა სახეებს¹. სხვა სახეთა შორის ჩვენში ჯერჯერობით სავესებით გამოიკვლეულია მხოლოდ *Phl. perniciosus*. აქ ჩვენ მათე შეეჭვრდებით, დანარჩენებზე კი მაშინ, როცა შემთხვევა გვექნება მათი სახის გამოიკვლევისა.

Phl. papatasi-ის მორფოლოგია, ფლებოტომთა ბიოლოგია, აგრეთვე პატარის კლინიკა ჩვენ დაწვრილებით აღვსწერეთ საქ. მუზეუმის შრომებში (1920 წ. № 1). ამიტომ აქ ჩვენ მოკლედ შევეხებით მხოლოდ *Phl. perniciosus*-ის იმ შედარებითი განსხვავებებს, რომლითაც ის განირჩევა *Phl. papatasi*-საგან.

Phl. perniciosus პირველად Newstead-მა იპოვა და ასწერა მალტაში. გარეგნული შეხედულებით ის სავესებით *Phl. papatasi*-ს მოგვაგონებს, საერთოდ ეს ორი სახე ბევრი არაფრით განირჩევა ერთმანეთისაგან, განსაკუთრებით დედალი ფლებოტომები.

Phl. perniciosus-ს ისეთივე ნაზი და გამსჭვრივალე კანი აქვს, ისეთივე გრძელი და სქელი ბეწვებითაა დაფარული, როგორც *Phl. papatasi*-ს. სიდიდით ცოტად უფრო პატარაა. სიგრძით 1,9—2,2 mm. უღრის. უფრო მუქი ფერისაა განსაკუთრებით დედალი. ფეხები უფრო მოკლე აქვს. მე-2, 3 და 4 თათების სეგმენტები თანაბარი სიგრძისაა, ყველა ერთად ცოტად უფრო მოგრძო, ვიდრე მე-5-ე.

მამალი ფლებოტომთა გარეთა სასქესო ორგანოები საზოგადოდ რთული აგებულობისაა და ყოველთვის დამახასიათებელი ფლებოტომთა ჯიშისა და სახის გამოსარკვევად.

მამალ *Phl. perniciosus*-ს გარეთა სასქესო ორგანოები უფრო პატარები აქვს და მუცლის სიგრძის ნახევარს ოდნავ აღწევს. ზევითა სასქესო ბრქუალების დაბოლოება ატარებს 5 მეტად მოგრძო და ძლიერ მოკაუჭებულ ჯაგარს, ორი მათ-

¹ ჩვენში გავრცელებულ ფლებოტომის ერთ სახეს ე. მარცინოვსკიმ *Phl. caucasicus* უწოდა.



განი ზედ ბრტყალებს წვერზეა მოთავსებული, 1 შიგნითა და 2 გარეთ მხარეზე; ქვეითა ბრტყალებს ბოლო კი გრძელ და წვირთ ბეწვებითაა შემოსილი.

Phl. papatasi-ის რთულ ინტერმედიურ გონაპოფიზის მაგივრად Phl. perniciosus-ს აქვს თითის მგზავსი გაგრძელება.

Penis ბოლოში ორთითასავითაა გაყოფილი და მისგან Ductus ejaculatorius ძალიან წინაა წამოწეული.

ქუბრის მუცელი S ფიგურის მგზავსადაა. Thorax-ი კუზიანია. ყოველ აბდომინალურ სეგმენტზე თითო რწყვილი ზორცვია, ბორცვის ბოლოზე კი ორი ვაბრტყელებული ფართო დანამატია. კანის ზედაპირი ხშირი ქერცლისებურ ბუსუსებითაა დაფარული.

ლიტერატურა: 1. R. Doerr und V. Russ. Die Phlebotomen.—Mense. Handbuch der Tropenkrankheiten. E. B. 1913.

2. Doerr, Franz und Taussig. Das Pappataciefieber. Leipzig und Wien 1909.

3. Ch. Joyeux. L'étiologie des Leishmanieses.

La presse médicale. 19 Avril 1922 № 31.

4. Ed. et Et. Sergent, L. Parrot, A. Donatien et M. Béguet. Transmission

du clou de Biskra par le phlebotome (Phlebotomus papatasi Scop.)

Compt. Rendus Acad. Scien. T. 173 № 21. p. 1030,

21. XI. 1921. რეფერ. „Врачебное Обозрение“ დან. 1922

წლ. 15 იანვარს № 1. 5. Gurko. Vier Fälle von Kala-Azar

Separ.-Abdr. aus der Zeitschrift für Hyg. u. Infektionskr.

1913. 6. სიმონ კანდელაკი ავადმყოფობა პაპატაჩი და კო-

ლო Phlebotomus-ი საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებ-

ში. საქ. მეზ. შრომ. 1920 წ. № 1.

საქართველოს მუზეუმის მოკმედების მოკლე ანგარიში (1919 — 1921 წ.წ.)

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ერი-
სა და მთავრობის წინაშე მრავალი საკულტურო ორგანიზაციული
საკითხი წაშლიკრა; მათ შორის მთავრობის ყურადღება სამართ-
ლიანად მიტყეული იყო დედაქალაქში მთავარი მუზეუმის დაარსე-
ბის აუცილებლობაზედ. 1919 წ. დსაწყისში, სახალხო განათლების
სამინისტროს თაოსნობით, დაარსდა სპეციალი კომისია, რომელ-
საც დაეწევა საქართველოს მუზეუმის წესდების შეშუშავება. 1919 წ.
1 ავეიტოს, ჟმალდეს საკანონმდებლო ორგანომ მიილო დეკრეტი
საქართველოს მუზეუმის დაარსებისა და მისი წესდების დამტკიცე-
ბის შესახებ; იმავე დეკრეტის ძალით, ყოფილ კავკასიის მუზეუმის
ყოფილი უძრავი და მოძრავი ქონება გადაეცა საქართველოს მუზეუმს.

დაუყოვნებლივ შეუდგენ ახალი შტატის შეგნებას და მიიწვიეს
შესაფერი მცოდნე მუშაკნი; ამასვე მოჰყვა მუზეუმის სამეცნიერო
საბჭოს ჩამოყალიბება, რომლის წევრებად ითვლებიან მუზეუმის
ბანყოფილებათა გამგეები და სახელმწიფო უნივერსიტეტის პრო-
ფესორთა საბჭოს ხუთი წარმომადგენელი; სამეცნიერო საბჭო იკრი-
ბებოდა პერიოდულად საჭიროებისდა მიხედვით. მუზეუმის სამეცნი-
ერო და საადმინისტრაციო საქმეთა უახლოეს გამგეთ საბჭომ აირ-
ჩია და უმალდესმა მთავრობამ დაამტკიცა მუზეუმის დირექტორი.

პირადი შემადგენლობა. მუზეუმის მომუშავეთა პირადი შე-
მადგენლობა ასეთი იყო: დირექტორი ნოე ყოფიანი, იმავე დროს
ასრულებად გეოლოგიის განყოფილების გამგის მოვალეობას.


გეოლოგიის განყოფილება — მინერალოგი ალ. თვალქრელიძე,
ასისტენტი გ. სმირნოვი, პრეპარატორი ევ. ლუტკოვი. **ბოტანიკის**
განყოფილება — დრ. გამგე ბ. შიშკინი, ბოტანიკოსი ნ. ვორონიხინი,
ასისტენტი ელ. ქიქოძე. **ზოოლოგიის განყოფილება** — გამგე ბ. უგა-
როვი (1919 — 1920 წ.), ივ. ჩხიკვიშვილი (1920 წლიდან), ასის-
ტენტები: ალ. ილდინსკი ენტომოლოგოსი, პ. სვირიდენკო ზო-
ოლოგა; ტაქსოდონისტი კ. კრელი და პრეპარატორი ვ. რეიში.
ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის განყოფილებანი — გამგე გ. ჩუბი-



ნაშვილი, ასისტენტები: მ. ბარათაშვილისა, ს. იორდანიშვილი, შ. ამირანაშვილი, დ. გორდდევი, მხატვარი ევ. ლანსერე. **ბიბლიოთეკა**—გამგის მოვალეობას ასრულებდა ალ. სვანიძე, თანაშემწე ნ. ქავჭავაძე (1919 წ.), თ. ამირეჯიბი (1920 წლიდან). მუზეუმის მდივნის მოვალეობას ასრულებდა ს. იორდანიშვილი (1919—1920 წ.) და ს. მავალითაი (1920 წლიდან), მდივნის თანაშემწე თ. დვალა, ლაბორატორიის ხუთი მსახური და ორთი მეეზოვე.

საქართველოს მუზეუმმა დაიწყო მოქმედება 1919 წლის მეორე ნახევარში; მიუხედავად ბინის უკიდურესი სივიწროვისა და სხვა მრავალი მძიმე დაბრკოლებათა, მუზეუმი შეუდრეკლად აწარმოებდა სალამორატორიო მუშაობას და სისტემატიურ გამოკვლევას საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში.

გეოლოგიის განყოფილება. გეოლოგმა ნოე ყაფიანმა დაამუშავა და მოიყვანა წესრიგში ლაზისტანის, გურიის, სვანეთის, კიანთურის და საჩინოს მნიშვნელოვანი კოლექციები. მინერალოგმა ალ. თვალჭრელიძემ მოიყვანა წესრიგში დენის სისტემით მთელი მინერალოგიის სამეცნიერო მასალა. ასისტენტმა გ. სმირნოვმა შეადგინა პეტროგრაფიის სისტემატიური კოლექცია კავკასიის ქვეშის ჯიშებით. პრეპარატორმა ლუტკოვმა დაამზადა რამოდენიმე ათეული თხელი ნაჭრები ქვის ჯიშების მიკროსკოპიულ შესასწავლად. ნ. ყიფიანის ხელმძღვანელობით 1920 წ. მოეწყო დიდი ექსპედიცია გურია-აჭარის მთაგორების შესასწავლად. 1921 წ. ნ. ყიფიანმა შეისწავლა საჩინოს გეოლოგია (ორი თვის მოგზაურობა). 1921 წელს ნ. ყიფიანის ხელმძღვანელობით დაიწყო ტფილისის მიდამოების გეოლოგიის სისტემატიური შესწავლა; მოწყობილია რვავე ხუთმეტრი ექსკურსია. ამგვარად განყოფილებამ საძირკველი ჩაუყარა საქართველოს გეოლოგიის სისტემატიურ შესწავლას. ასეთი მეთოდური ექსკურსიების მეოხებით განყოფილება გამდიდრდა პალეონტოლოგიისა და პეტროგრაფიის საყურადღებო მასალებით, რომელთა ნაწილი დამუშავებულია, ხოლო დანარჩენი მუშავდება. ნოე ყაფიანმა დაბეჭდა: დასავლეთ საქართველოს გეოლოგიური მასალები. I. მანვე დაამზადა: 1) ლაზისტანის გეოლოგიური აღწერილობა და 2) ტფილისის მიდამოების გეოლოგია. გ. სმირნოვმა დაამზადა დასაბეჭდად ბორჩალოს პეტროგრაფია. განყოფილებაში მუშაობდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები დ. ლორთქიფანიძე და ივ. კაპრაძე. ცნობებისათვის და სათათბიროდ შემოდით დენ ინჟ. ლ. კონაშუშევსკი, ინჟ. შილნიკოვი ინჟ. ივ. მეძმარიშვილი, პროფ. ზაიცევი, პროფ. ნ. იაკოვლევი, რომის პოლიტექნიკუმის პროფესორი ნაჯრეხე.



ბოტანიკის განყოფილება. ბ. შიშკინმა დაამუშავა ყვავილიან მცენარეების მრავალი მასალა; მანვე მოაწესრიგა სადღებლეთო და საერთო ჰერბარიუმი. ნ. ვორონიხინმა მოაწყო სპორიანი მცენარეების ქვე-განყოფილება; მანვე დაამუშავა განაწესრიგა მრავალი მასალა და შეადგინა სათანადო სიები, ასისტენტ ელ. ქიქოძემ დაამუშავა ატენის ხეობის მასალები. ბ. შიშკინი აწყობდა მეთაუდიურ ექსკურსიებს ტფლისის მიდამოების, ბორჯომ-ბაკურთის და ატენის ხეობის ფლორის შესასწავლად; ამ მიზნით მან მოახდინა რამოდენიმე ათეული ექსკურსია, ნ. ვორონიხინმა შესწავლა მანგლისის და ბაკურთის სპორიანი ფლორა. ელ. ქიქოძემ იმოგზაურა ატენის ხეობაში და შეაგროვა მდიდარი მასალა. ბ. შიშკინმა დაბეჭდა რამოდენიმე შრომა, დამზადებული აქვს ხუთი მოკლე აღწერილობა. განყოფილებაში შემოსულია საჰერბარიო მასალის სულ 22,460 ექზეპლარი. განყოფილებაში შეადგინა სადღებლეთო მასალებისა და საერთო ჰერბარიუმის კატალოგები; განყოფილებაში შექმნა სპორიანი მცენარეების კოლექციები. ყოველ წელს განყოფილების მთელი კოლექციები სამეგრეო ტარდება სადღეინფექციო კამერაში.

ზოოლოგიის განყოფილება. თვალსაჩინო ტექნიკური და სამეცნიერო მუშაობა არის გაწეული განყოფილებაში; მოწყობილია ორნათოლოგიური კაბინეტი. ტაქსოდერმიის ლაბორატორიაში კ. კრელმა დაამზადა მშენიერი ჯგუფები: გარეული ცხვრები, ბორჯომის დათვი, სპარსეთის ვეფხვი, თრაღეოს ფშველი და ფრინველების რამოდენიმე ჯგუფი. ივ. ჩხიკვიშვილმა მოაწესრიგა და შეადგინა ფრინველთა ყველა მასალების სისტემატიური კატალოგი. განყოფილებამ მოაწყო რამოდენიმე ექსკურსია: მანგლისში, ლაგოდეხში, ბორჯომში და ხონის მიდამოებში. განყოფილებამ მოაწყო აკრეთვე, სამეცნიერო მიზნით, შეიდი ნადირობა ყარაიას და ბორჩალოს მიდამოებში. ივ. ჩხიკვიშვილმა დაამზადა დასაბეჭდად კავკასიის ორნითოფაუნის კრიტიკული მიმოხილვა. განყოფილებაში შემოვიდა დიდი კოლექციები: Insecta: 49,757 ცალი. მღრღნელთა დიდი კოლექცია: 4,000 ცალი. ფრინველები და სხვა მასალა 1000 ცალი. სულ 55,000 ცალი. ზოოლოგიის კოლექციები ტარდება სადღეინფექციო კამერაში წელიწადში სამეგრეო.

ეთნოგრაფიის განყოფილება. მთავარი ყურადღება უმდიდრეს კოლექციების დაცვაზე იყო შექცეული. ივ. ლანსერემ და ალ. მათიასევჩმა დახატეს რამოდენიმე ათეული ეთნოგრაფიული ჯგუფები კოსტუმებში. ასისტენტი მ. ბარათაშვილი აწარმოებდა კოსტუმების სისტემატიურ კატალოგის შედგენას. მთავრობის მიერ და-



არსებულ საგანგებო ფონდის მეოხებით, განყოფილებაში შემოვიდა მდიდარი კოლექციები, სულ ათასამდე საკოლექციო საგანი.


არქეოლოგიის განყოფილება. გ. ჩუბინაშვილი ცდილობდა ზოგიერთი წესრიგი შეეტანა არქეოლოგიის მასალებს დალაგებაში. განყოფილებაში შემოვიდა სულ სამასამდე საკოლექციო საგანი.

ბიბლიოთეკა. გამგე ალ. სვანიძე შეეცადა ელემენტარი წესრიგი დაემკვიდრებინა ბიბლიოთეკის საქმეებში, მაგრამ ბინის უკიდურესი სივიწროვის გამო მან მხოლოდ პერიოდული გამოცემების მოწესრიგება შესძლო. სისტემატიური აღწესებისათვის ბიბლიოთეკაში შემოიღეს საგანგებო ქონების წიგნი. ბიბლიოთეკაში შემოვიდა ექვსი ათასამდე სამეცნიერო ნაშრომი და ადგილობრივი პერიოდული გამოცემები.

მუზეუმის გამოცემანი. მუზეუმის გამოცემის საქმე მინდობილი ჰქონდათ გ. ჩუბინაშვილს და ნოე ყიფიანს. მიუხედავად მეტად სამძიმო პირობებისა, მუზეუმმა გამოსცა ორი მთავარი შრომა: К. Сатунии: „Млекопитающие Кавказского края II“. სიმონ კანდელაკი: „ციება Paratasi და კოლო Phlebotomus“ . რედაქციაში დამოკლებულია დასაბეჭდად: С. Круковский: „Палеолит Гварджилის-კლდე“, Б. Шишкин. Флора Лазистана. ნ. ყიფიანი: ლაზისტანის გეოლოგია, მისივე ტფილისის მიდამოების გეოლოგია. Б. Шишкин: Флора окрестностей Тифлиса.


მუზეუმის ახალი შენობის მომთავრების საქმე: 1920 წელს მუზეუმის ადმინისტრაციამ შესძლო მიეღო მთავრობის თანხმობა და დახმარება ახალი შენობის დასამთავრებლად. მთავრობამ დაარსა სააღმშენებლო კომისია, რომელსაც დაეველა სასწრაფოდ დაემთავრებინა ორი ფლიგელი (30 ოთახი). უმთავრესი საპროექტი შესრულებულია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოკლე მომავალში მუზეუმში შესძლებს გადასახლდეს ახალ შენობაში.

მუზეუმის ურთიერთობა სამეცნიერო დაწესებულებებთან. 1919 და 1920 წ.წ. მუზეუმმა პირველად სცადა აღედგინა ურთიერთობა ევროპის ანალოგ-სამეცნიერო დაწესებულებებთან: პარიზის, ლონდონის, ნეე-იორკის და რომის მუზეუმებთან. ზოგი ამთავანი დროგამოშვებით უგზავნიდა მუზეუმს თავის გამოცემებს. ლონდონის მუზეუმმა წინადადება შემოიტანა კოლექციების გაცემისა. 1921 წლიდან საქართველო მოსწყდა დასავლეთ ევროპას და მუზეუმშიც უძღურა შეიქმნა განეგრობა ურთიერთობა უფროსს მოძ. მეებთან. 1919 და 1920 წლებში მუზეუმს მრავალი საპატიო სტუმარი ეწვია: გერმანიის, იტალიის, ამერიკის, საფრანგეთის და ინ-



E. Lanceray del.

1-5 *Melica atropatana* SCHISCHK.
6-10 *Nardurus Woronowii* SCHISCHK.



E. Lanceray del

Silene talyschensis SCHISCHK.



E. Lanceray del.

1-2 *Silene Marcowiczii* SCHISCHK.
3-4 *Silene longidens* SCHISCHK.





E. Lancetay del.

Silene propinqua SCHISCHK.



中華民國
國家圖書館